ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 5 მარტი, 2020 №54 (8318) ფასი: 60 თეთრი

## „დედას ზურგში დანა ჩაარტყა, ხალიჩაში გაახვია და ცეცხლი წაუკიდა“

გვ.5



3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

ტრფობა ნამებული

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




# დაიჭერენ თუ არა ნიკა მელიას?

გვ.4



სოსო ცინცაძე: „ხელისუფლების და ოპოზიციის შეთანხმება ამაზეა დამოკიდებული“

## „გაათავისუფლონ ოქრუაშვილი, რურუა, უგულავა!“

გვ.3

დავით ბერძენიშვილი: მოლაპარაკებების საკითხში პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემთვის პოლიტიკური რეპრესიების შეჩერებაა“



## რას გვპირდება ამერიკა, რა იგულისხმა კინზინგერმა მოულოდნელ სანქციებში?!

არჩილ გამზარდია: „არჩევნებზე მოლაპარაკების ჩაშლა ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც ერთნაირად აწყობთ“

გვ.4



## ბორჯომში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გაიხსნა

გვ.3



ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 სალომე ზურაბიშვილი: „პარტიებს შორის დიალოგი არ უნდა შეწყდეს“

5 ნიკო ფიროსმანის „სააღდგომო ბატკანი“ მოსარჩელეს დაუბრუნდა

2 დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე: „ზიარების წესით დაავადება არ გადადის, მის შეცვლაზე საუბარი არ არის“

6 სამხრეთ ფლორიდის კათოლიკურ ეკლესიებში ზიარების ჭურჭლის გამოყენება დროებით შეწყდება

# სალომე ზურაბიშვილი: „პარტიებს შორის დიალოგი არ უნდა შეწყდეს“



– კონსტიტუციით დადგენილი ჩემი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, მე არ ვაპირებ პოლიტიკურ ჭიდილში ჩაბმას, არც ერთ მწვავე პოლიტიკურ საკითხზე პირადი პოზიციის დაფიქსირებას.

ამის შესახებ გუშინ, 4 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტში წლიური მოხსენებით გამოსვლისას განაცხადა.

პრეზიდენტმა საარჩევნო სამზადისთან და შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა.

– ძალაშია ჩემი წინადადება საპრეზიდენტო პლატფორმის შეთავაზების შესახებ, რათა არ შეწყდეს დიალოგი.

კონსტიტუციით დადგენილი ჩემი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, მე არ ვაპირებ პოლიტიკურ ჭიდილში ჩაბმას; არც ერთ მწვავე პოლიტიკურ საკითხზე პირადი პოზიციის დაფიქსირებას. არა იმიტომ, რომ საკუთარი მოსაზრება არ გამაჩნია, არა იმიტომ, რომ ვინმესი მეშინია, არამედ იმიტომ, რომ მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და ზეპარტიული პრეზიდენტი პარტიებსა და საზოგადოებას საკუთარ აზრებს თავს არ მოახვევს, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისი თქმით, ეს არ გამორიცხავს პრეზიდენტის პოლიტიკურ როლს ქვეყნის სტაბილურობისა და საზოგადოების დამშვიდების ხელშეწყობაში.

– ამ მიზნით საპრეზიდენტო პლატფორმა არაერთხელ შევთავაზე ყველა პოლიტიკურ ძალას, რათა არ შეწყდეს დიალოგი. თუ ამის საჭიროება დადგება, ეს წინადადება ძალაშია. დღეს იმედიანად ვარ, რამეთუ ბოლო დღეებში პოლიტიკური შეთანხმებისკენ ნაბიჯები იდგმება. თუმცა, საბოლოო შედეგი ჯერ არ დამდგარა. ამ დროს ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია.

ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, მშვიდობიანად მივიდეთ არჩევნებამდე და საკუთრივ არჩევნები ჩატარდეს სამართლიან და თავისუფალ გარემოში, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისი თქმით, ყველას მოვალეობაა, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ კორექტული თამაშის წესები, რაც გულისხმობს ინსტიტუტების პატივისცემას და პირადი შეურაცხყოფისგან თავშეკავებას.

– ჩემი მოვალეობაა, მაქსიმალურად ვეცადო, ამ დაპირისპირებამ არ დააზიანოს საქართველოს ინტერესები გარეთ და საფრთხე არ შეუქმნას სტაბილურობას შიგნით, – განაცხადა პრეზიდენტმა.

# გიგა ბოკერია: „სისტემა 110/40-ს მხარს არ დავუჭერთ“

– დაპირება იყო პროპორციულობაზე ივანიშვილის მიერ მოწყობილი „გავრილოვის ღამის“ შედეგად და 110/40-ზე სისტემა ამას ვერ უზრუნველყოფს. ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გიგა ბოკერიამ, საარჩევნო სისტემაზე საუბრისას განაცხადა.

ბოკერიას თქმით, ამ ეტაპზე ოპოზიციის კრიტიკული მასა „ქართული ოცნების“ შემოთავაზებებს მხარს არ უჭერს.

– სრული უფლება აქვთ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, მით უმეტეს იმათ, ვინც ლეიბორისტული პარტიის მაგიდასთან არ არის წარმოდგენილი, ამა თუ იმ წინადადებას მხარი დაუჭიროს. ჩვენ, „ევროპულ საქართველოს“, გვაქვს ჩვენი შეფასება, რომ ეს შემოთავაზებული სისტემა 110/40-ით არ არის ის, რასაც ივანიშვილი დაპირდა საქართველოს „გავრილოვის ღამის“ შემდეგ და აქედან გამომდინარე, ჩვენ ამას მხარს არ დავუჭერთ.

თუ ვინმე თვლის, რომ ეს ღირს ხმის მიცემად, პატივს ვცემთ მეც და ჩვენი პოლიტიკური ძალაც. არსებობს ელემენტარული საარჩევნო რუკა, ივანიშვილის და თალაკვაძეს ჰგონიათ, თვითონ შეუძლიათ თქვან, ვინ უნდათ იყოს ოპოზიცია. ამ ეტაპზე რა ვითარებასაც ვხედავ, ოპოზიციის კრიტიკული მასა ამ შემოთავაზებებს მხარს არ უჭერს.

დაპირება იყო პროპორციულობაზე ივანიშვილის მიერ მოწყობილი „გავრილოვის ღამის“ შედეგად და 110/40-ზე ამას ვერ უზრუნველყოფს. ეს ისეთი სისტემაა, რომ მესამედზე ოდნავ მეტი ამომრჩევლით გაქვს შანსი მოიპოვო უმრავლესობა. ჩვენ ის კი არ გვაშინებს, რომ ამ სისტემით მოიგებენ არჩევნებს, დღევანდელი სისტემითაც წააგებენ და მაგ სისტემითაც, ოღონდ ჩვენ არ მოვატყუებთ საზოგადოებას, რომ ეს ის არის, რასაც ჩვენ დაგპირდით და არა უშავს.

არ არის და არ იძლევა იმ შედეგს, რაც საზოგადოებამ დაუკვეთა პოლიტიკურ ძალებს. გარდა ამისა, პოლიტიკური პატიმრების საკითხის გარეშე და დევნის შეწყვეტის გარეშე სრული ნორმალიზება ვერ მოხდება მაშინაც კი, თუ მაჟორიტარებს შეამცირებენ



არსებითად, რასაც ჩვენ ვითხოვთ და რაც თავის მხრივ ნორმალური შემოთავაზება იქნებოდა, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის აზრით კი, ოპოზიციის მხრიდან დესტაბილიზაციის სურვილის დადასტურება იქნება ის, თუკი ის „40%-იან ჩამკეტზე“ უარს იტყვის.

როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, სხვა შემთხვევაში, რთულია ოპოზიციური პარტიების პოზიციას ლოგიკური ახსნა მოუძებნო.

– პრინციპულად ვთანხმდებით 40 პროცენტთან დაკავშირებულ საკითხზე და არ გვგონია, რომ ამ პრინციპული შეთანხმების დარღვევის სხვა ლოგიკური ახსნა არსებობდეს, თუ არა ის, რომ მათთვის დესტაბილიზაცია არის ერთადერთი გზა. ასე რომ, კიდევ მეტი ეჭვი გაჩნდება, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით არ იქნება შეთანხმება, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ოპოზიციის წინადადებაა, პარტიამ ვერ დააკომპლექტოს მთავრობა, თუ მას 40 %-ზე მეტი მხარდაჭერა არ ექნება.

მმართველი გუნდი მზადაა, ოპოზიციის ინიციატივა გაიზიაროს, თუმცა აღნიშნული თემის კონტექსტში დღის წესრიგში რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს აყენებს.

კონკრეტულად რა იგულისხმება მნიშვნელოვან კომპონენტებში, საზოგადოებისთვის ამ ეტაპზე უცნობია, რადგან მათ არც ერთი პოლიტიკური მხარე არ ასაჯაროებს.

# იტალიაში მცხოვრებ ქართველ ქალს კორონავირუსი დაუდგინდა

## ის რომის კლინიკაში გადაიყვანეს

გუშინ, 4 მარტს, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მორიგი სხდომა გამართა.

საბჭოს სხდომაზე ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ აღნიშნა, რომ ახალი კორონავირუსით ინფიცირებული 3 პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ სტაბილურია, მათ რაიმე გართულებები არ აღენიშნებათ. მინისტრმა საკოორდინაციო საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე კარანტინში ისევ 100-ზე მეტი ადამიანი რჩება.

საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ იტალიაში საქართველოს საელჩოს ცხელ ხაზზე დაუკავშირდა იტალიის ქალაქ ვიტერბოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელმაც განაცხადა, რომ აღენიშნებოდა მაღალი სიცხე და სისუსტე.

– საქართველოს საკონსულო მყისიერად დაუკავშირდა იტალიის ჯანდაცვის სამინისტროს, რის შემდეგაც მოქალაქე სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა რომის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანა. საქართველოს მოქალაქეს ჩაუტარდა გამოკვლევა ახალ კორონავირუსზე და დღეს მიღებული პასუხების შედეგად, ქალს დაუდგინდა კორონავირუსი.

მოქალაქე რომის კლინიკაში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩება და შესაბამისი მკურნალობა უტარდება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპისთვის დამაკმაყოფილებელია. მინისტრის განცხადებით, საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში მუდმივ კავშირზეა როგორც თავად პაციენტთან, ასევე მისი ოჯახის წევრებთან და კლინიკის ხელმძღვანელობასთან, – ნათქვამია ინფორმაციაში.

სხდომაზე კვლავ აღინიშნა, რომ ქვეყანაში პანიკის საფუძველი არ არსებობს და მთავრობა სრულად მართავს პროცესს.

# ასლან ბჟანიას პოლისეგმენტური პნევმონია აღმოაჩნდა

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ოპოზიციის ლიდერს ასლან ბჟანიას პოლისეგმენტური პნევმონია აღენიშნება.

აღნიშნული დიაგნოზი ე.წ. საპრეზიდენტო კანდიდატს კრასნოდარის საავადმყოფოში დაუსვეს, სადაც ის ინტენსიურ მკურნალობას გადის.

დე ფაქტო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ამ დროისთვის ბჟანიას დადებითი დინამიკა აღენიშნება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ასლან ბჟანია მოწამვლის ნიშნებით ჯერ სოჭის საავადმყოფოში, შემდეგ კი კრასნოდარში გადაიყვანეს.

აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები 22 მარტსაა დანიშნული.

# დენის შმიგალი უკრაინის ახალი პრემიერი გახდა

გუშინ, 4 მარტს, უკრაინის უმაღლესმა რადამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ალექსეი გონჩარუკი გადააყენა. გადაწყვეტილებას მხარი 411 დეპუტატიდან 353-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ალექსეი გონჩარუკი უკრაინის რადამ აღნიშნულ თანამდებობაზე 2019 წლის 29 აგვისტოს აირჩია.

პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ რადას ახალ პრემიერად ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი დენის შმიგალი შესთავაზა..



უკრაინის უმაღლესმა რადამ ეს წინადადება მიიღო და 291 ხმით დენის შმიგალი უკრაინის ახალ პრემიერად აირჩია.

პროცედურის თანახმად, ახალმა პრემიერ-მინისტრმა უმაღლეს რადას მომავალი მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა უნდა წარუდგინოს.

საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრის კანდიდატურებს ქვეყნის პრეზიდენტი წარადგენს.

# დეკანოზი ანდრია ჯალმაიძე: „ზიარების წესით დაავადება არ გადადის, მის შეცვლაზე საუბარი არ არის“



საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანოზ ანდრია ჯალმაიძის განცხადებით, კორონავირუსის გავრცელების გამო, ჯერჯერობით, ზიარების წესის ცვლილებებზე მსჯელობა არ არის.

როგორც მან ინტერპრესნიუსს განუცხადა, ადამიანებს ამ გზით დაავადების გავრცელების არ უნდა ეშინოდეთ, რადგან „უფლის სისხლი და ხორცი საკურნებელია“.

– ჯერჯერობით, ზიარების წესის ცვლილებებზე მსჯელობა არ არის. ვისაც საეკლესიო ცხოვრების საკმაო გამოცდილება აქვს, მან იცის, რომ ასე დაავადების არ უნდა ეშინოდეს. ყოველი წირვის მერე, ასობით ადამიანის ზიარების შემდეგ, ბარძიმს მთლიანად სასულიერო პირი იღებს. ამ ასეულობით ნაზიარები ადამიანიდან ყველა ხომ არ იქნება ჯანმრთელი?

არის ამაში ლოგიკა, რომ სამღვდელოება მუდმივად უნდა ავადდებოდეს და რამდენ ავადმყოფსაც აზიარებს ერთი ბარძიმიდან და ერთი კოვზით, იმდენგვარი სენი უნდა შეეყაროს ყოველი წირვის შემდეგ. უფლის სისხლი და ხორცი საკურნებელია და ვიცით, რომ ავადმყოფებს ვლოცავთ და ვაზიარებთ, – განაცხადა ჯალმაიძემ.

მისი განმარტებით, ზიარება საიდუმლო სერობის აქტში ჭეშმარიტად მონაწილეობაა და ამ დროს ქრისტე მის ხორცსა და სისხლს გვაწვდის.

– ზიარება არ არის სიმბოლური შესრულება საიდუმლო სერობის აქტისა, არამედ განმეორება და მასში უშუალოდ, ჭეშმარიტად მონაწილეობაა. ამ დროს იესო ქრისტე უშუალოდ გვაწვდის მის ხორცსა და სისხლს, როგორც მოციქულებს მიაწოდა.

რა თქმა უნდა, რწმენის სიმცირის გამო, შესაძლოა, ვინმე მაინც უფრთხოდეს საიდუმლოს ასე მიღებას, ამაზე რაიმე განსაკუთრებული მსჯელობა ჯერ არ ყოფილა და ალბათ, ისინი ცოტა ხნით თავს შეიკავებენ ზიარებისაგან, – დასძინა დეკანოზმა.

როგორც ანდრია ჯალმაიძე აღნიშნავს, სასულიერო პირები ყველა ადამიანს ლოცავენ და ჯანმრთელობას უსურვებენ, მიუხედავად იმისა, ისინი ეზიარებიან თუ არა.

– ზოგადად, რა თქმა უნდა, საჭიროა პირადი ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვა და ექიმების რეკომენდაციების გათვალისწინება. საქართველოში ავადმყოფობის სულ რამდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული, ისიც საზღვარზე და როგორც სპეციალისტები ამბობენ, მოსალოდნელია, რომ დათბობასთან ერთად ამ ვირუსის საფრთხეები განულდეს. სასულიერო პირები ვლოცავთ ყველას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ვინც ეზიარება და ვინც არ ეზიარება, – დასძინა დეკანოზმა.

ევანგელისტურ-ბაპტისტურმა ეკლესიამ კი, კორონავირუსის გავრცელების გამო, საქართველოში ზიარების წესი შეცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი, რუსუდან გოცირიძე ადასტურებს.

ეპისკოპოსი არ გამორიცხავს, რომ პრევენციის მიზნით, ლოცვების სიხშირეც შეამცირონ.

– ჩვენი ეკლესიის ტრადიცია ასეთია: ღვთისმსახურება ტარდება არა მხოლოდ კვირას, დილის მსახურებაზე, არამედ საღამოსაც.

ფორმა ასეთია: მრევლი საერთო თასით სვამს ღვინოს. საერთო ფეშხუმიდან იღებენ დამტვრეულ პურს. შექმნილი ვითარების გამო გადავწყვიტეთ, ზიარების ფორმა ისე შეგვეცვალა, რომ ადამიანების ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არ დამდგარიყო.

ამ ვითარებაში საერთო თასიდან დალევა და საერთო თასში პურის ჩაწობა ვიფიქრეთ, რომ გაუფრთხილებლობა იქნებოდა. ასე რომ, ფორმა, რომელიც ამჯერად გვაქვს, ასეთია: ერთ ღვთისმსახურს უჭირავს ფიალა ღვინით, მეორეს ფეშხუმი, რომელზეც დამტვრეული პურია. ღვთისმსახური იღებს პურს, ჩააწობს ღვინოში და პურის მშრალი მხარით მიაწვდის მზიარებელს.

ამითი პურთან და ღვინოსთან შემხებელი ადამიანის ოდენობა შემცირდა. ჯერჯერობით ვფიქრობთ, რომ ეს ზომა შეესაბამება არსებულ მდგომარეობას, თუკი უფრო გართულდება და იმედს ვიტოვებთ და ვლოცულობთ, რომ არ გართულდეს, ეს ფორმა ასე დარჩება. თუ უფრო გართულდება, ისე ვიმოქმედებთ, როგორც საჭირო იქნება. ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ამ სიხშირით ზიარება აღარ ჩატარდეს. ადამიანების უსაფრთხოების გამო.

მიგვაჩნია, რომ ზიარების ფორმის ცვლილება არანაირად არ ცვლის მის შინაარსს და მნიშვნელობას. ზიარების ფორმები, მიუხედავად იმისა, რომელ ტრადიციაშია ეს, მართლმადიდებლურ, კათოლიკურ თუ პროტესტანტულში, ყველა ის ფორმა არის ტრადიციების, ისტორიულ ცვლილებებში გამოვლენილი ფორმები. ისინი ნამდვილად არ არის იდენტური იმისა, რაც საღვთო წერილში გვაქვს.

საღვთო წერილი ზიარებას არ აღწერს, როგორ ხდებოდა ეს. რასაც აღწერს ბევრი ვარიაციის, ბევრი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ასე რომ, ფორმის ცვლილების არ ეშინია ჩვენს ეკლესიას, რადგან ერთგულები ვართ ზიარების შინაარსის და მისი მნიშვნელობისა, – ამბობს რუსუდან გოცირიძე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გაათავისუფლონ ოქრუაშვილი, რურუა, უგულავა!“

## დავით ბერძენიშვილი: „მოლაპარაკებების საკითხში პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემთვის პოლიტიკური რეპრესიების შეჩერებაა“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ქართული ოცნება“ ჩვეულ სტიქიაშია, ერთი ხელით ოპოზიციას დიალოგს სთავაზობს, ხოლო მეორე ხელით დიალოგის პერსპექტივის ჩაშლას ცდილობს. პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიები ნაციონალური მოძრაობის ტყვეობაში არიან. თალაკვაძე იმასაც ამბობს, რომ ოპოზიცია ლობისტებს აამუშავებს დასავლეთში.**
**გრძნობს თუ არა თავს „ნაცმოძრაობის“ ტყვეობაში, ხომ არ ფლობენ ინფორმაციას „ოცნებაში“, რომ დასავლეთში კრიტიკული განცხადებების მორიგი სერია დაიწყება, რისთვისაც წინასწარ თავს იზღვევენ და რა კომპრომისისთვის არის მზად ოპოზიცია? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი საუბრობს, რომელიც ზოგიერთ დეტალთან დაკავშირებით მედიასთან კომენტარს პირველად აკეთებს.**

***– თალაკვაძემ თქვა, რომ პოლიტიკური პარტიები „ნაცმოძრაობის“ ტყვეობაში არიანო. ნახევრად ხუმრობით გკითხავთ, თავს მათ ტყვეობაში გრძნობთ?***

– როგორც თამარ კორძაიამ გაიხსენა, ეს არის ჟღალი მასალა, ასე დაარქვა რიჟა ბაზარს თალაკვაძემ რამდენიმე თვის წინ. ასე რომ, მისი ჟღალი მასალა ძალიან მდარეა, ასე რომ, მხოლოდ ასეთი კომენტარით შემოვიფარგლები.

იმდენ სისულელს ლაპარაკობენ, ურეიტინგო პარტიააო, ნაციონალურ მოძრაობაზე ამბობენ, როცა მეორე ტურში გავიდა და 40% აიღო მისმა კანდიდატმა. ყველა არჩევნებში დაადასტურა, რომ ოპოზიციის ლიდერი პარტიაა.

***– იმასაც ამბობს, რომ ბოლოჯერ აამოქმედებენ ლობისტებს. ხომ არ აქვს ინფორმაცია, რომ დასავლეთში იგეგმება განცხადებების მორიგი სერია და წინასწარ თავს ხომ არ იზღვევს?***

– კი, მაგრამ უნიჭოდ იცავენ თავს, უფრო სწორად ვერ იცავენ. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება კონგრესმენი ლობისტების გავლენის ქვეშ მოიხსენიო. კონგრესმენი, რომელსაც ჯერ ილინოისის ოლქი აქვს მოგებული და მერე მეორე ოლქიც. ის არის ყოფილი სამხედრო, საქართველო-ამერიკის კომისიის ხელმძღვანელია კინზინგერი და მასზე ღიად მიანიშნო, რომ ლობისტური კამპანიის მსხვერპლიაო, ეს პოლიტიკური უმწიფრობის დამადასტურებელია. იგივე ითქმის სენატორებზე, კონგრესისა და სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეებზე.

***– ამერიკის ხმისთვის მიცემულ ინტერვიუში კინზინგერმა ღიად თქვა, რომ, რა თქმა უნდა, შეხვდა ოპოზიციას, მაგრამ ოთხჯერ მეტი ინტენსივობით ხვდებოდა „ქართული ოცნების“ წევრებს.***

– თანაც ამერიკის ხმის რედაქციის თარგმანი თალაკვაძემ „მატყუარა“ ოპოზიციას და „მატყუარა“ ქართულ მედიას მიაწერა. მოკლედ, სრული აბდა-უბდა იყო ეს ჟღალი მასლაათი. როდესაც გრიგოლ ვაშაძე ხშირად ახსენებს, რომ კიდევ უფრო მეტი იქნება მკვახე შეფასებები, ეს ჩანს ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისიდან, როდესაც ქალთა ოთხეული იყო წასული ამერიკაში – ხათუნა სამნიძე, ხატია დეკანოიძე, სალომე სამადაშვილი და ელენე ხოშტარია. ისინი შეხვდნენ კინზინგერსაც, სხვა სენატორებსა და კონგრესმენებსაც. „აი-არ-აი“-ს და „ენ-დი-აი“-ს ხელმძღვანელებსაც, ასევე ექსპერტულ წრეებს და იმ დროიდან მოყოლებული გასაგები იყო, რომ ინფორმაციის მიღების უკვე დიდი მოთხოვნილება იყო, ოპოზიციიდანაც. მაშინაც თქვა კინზინგერმა, რომ ქართულ არხებს ვუყურებ და საქართველოზე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ამერიკის პოლიტიკურ პროცესებზეო. ამას შემდეგ მოყვა და მოყვა მკვეთრი ამბები.

ჩვენ მოლოდინში ვართ, რომ სადღაც ამ თვეში უკვე, მარტის ბოლოს ან აპრილის პირველ ნახევარში, მაღალი ალბათობით რეზოლუცია იქნება ევროპარლამენტში. როცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა დაბლოკეს ასოცირების კომიტეტის გადაწყვეტილება და ევროპარლამენტარების საწინააღმდეგოდ ღიად გაილაშქრეს, ბუნებრივია, ახლა ეს იქნება ატანილი ევროპარლამენტის რეზოლუციის რანგში.

ამერიკაში, როგორც ჩანს, საკანონმდებლო ორგანოდან გადავა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ეს მკვახე შეფასებები. ბევრი რამეა დამოკიდებული მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. კინზინგერმა პირდაპირ ახსენა ორივე კომპონენტი, რომელზეც ოპოზიცია საუბრობს – საარჩევნო სისტემის პროპორციულთან მაქსიმალურად მიახლოება და პოლიტიკური რეპრესიების საკითხი. ორივე ამ საკითხს შეეხო კინზინგერი.

ერთ დეტალს მიაქციეთ ყურადღება. ეს არის ძალიან დიდი ბრჭყალებით პატარა დეტალი – საქართველოში ჩამოსული ახალი ელჩი გაეცნო აქაურ პოლიტიკურ ელიტას, შეხვდა ივანიშვილსაც, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს. შემდეგ რამდენიმე დღით დაბრუნდა ვაშინგტონში და კინზინგერმა მასზე თქვა, რომ ჩემი სრული ნდობა აქვსო და ამის შემდეგ კელი დეგნანი დაბრუნდა უკან. ასე რომ, ელჩმა კონგრესშიც, სენატშიც, სახელმწიფო დეპარტამენტშიც ჩაიტანა ის შეხედულებები, რა შთაბეჭდილებაც მას შეექმნა და იქიდან დაბრუნდა ზურგმომაგრებული ამერიკის პოლიტიკური ელიტით. ამიტომ ხელისუფლება ვერ მოახერხებს იმას, რომ ეს მცირე პოლიტიკური დეტალი უყურადღებოდ დატოვოს.

***– ანუ, ელოდებით, რომ უკვე საელჩოც დაიწყებს მკვეთრ განცხადებებს?***

– კი, ამაში დარწმუნებული ვარ. ეს მიდგომები გამკაცრდება, თუ ამ ერთი კვირის განმავლობაში არ იქნება სერიოზული გარღვევა მოლაპარაკების მაგიდასთან. რა თქმა უნდა, აღიარებითი ჩვენებების მთელი კორიანტელი იყო თალაკვაძის და მდინარაძის კომენტარებსა და განცხადებებში. მათ ოპოზიცია დაყვეს ცუდ ოპოზიციად და კონსტრუქციულ ოპოზიციად. თუკი ვინმეს მიიმხრობს ხელისუფლება, ეს არ იქნება ქართული ოპოზიციის სახე. ამიტომ, არაფერია ხელისუფლებისთვის სასარგებლო. როგორც მინიმუმ ოპოზიციის 9/10 იქნება ერთიან პოზიციაზე. ეს გამოიხატება ორივე კომპონენტით – მიახლოებული პროპორციები პროპორციულ სისტემასთან და პოლიტიკური მოტივებით დაკავებული და დასაკავებლად გამზადებული ადამიანების რეპრესიების შეჩერება. რამე განსაკუთრებულს ხომ არ ვითხოვთ? აღკვეთი ღონისძიების ცვლილებას ვითხოვთ იმ ადამიანების, ვინც დაკავებულები ჰყავთ. იქნება ეს ოქრუაშვილი, თამლიანი, რურუა თუ ოქრუაშვილის მეგობარი. მათ მიმართ სასამართლო განაჩენი არ დამდგარა და ვითხოვთ სასამართლომდე მათ გათავისუფლებას. რაც შეეხება გიგი უგულავას, მისი საკითხის მოგვარება სხვა მეთოდებით შეიძლება.

***– პრეზიდენტის მიერ მისი შეწყალებით?***

– რა თქმა უნდა. არსებობს ამის შესაძლებლობები. ეს ხალხი რომ პოლიტიკური მოტივებით არიან დაკავებულები, ამაში დასავლეთში ეჭვი არავის ეპარება.

***– ასეთი ინფორმაცია ჩნდება, რომ პრეზიდენტი შეიწყალებს უგულავას და შესაძლოა ოპოზიცია ამით გააჩერონ. ეს საკმარისი იქნება თუ კვლავაც ბოლომდე პრინციპულები იქნებით?***

– რა თქმა უნდა, ოპოზიციაც კომპრომისული იქნება, თუ ხელისუფლების მხრიდან იქნება ადეკვატური ნაბიჯები. ის რომ, მაგალითად, თბილისში კუთვნილი 12 ოლქის ნაცვლად 5 ოლქი დატოვონ და ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმის ერთი ოლქი კი არ მიუერთონ, რომელიმე სხვა ოლქს, არამედ პირიქით, გაყონ, ანუ ოთხჯერ ნაკლები თუ იქნება ვიქტორ ჯაფარიძისთვის განსაზღვრული ამომრჩევლის ოდენობა თბილისის რომელიმე ოლქის რაოდენობაზე, ეს ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც და ვენეციის კომისიის და ევროსაბჭოს რეკომენდაციებსაც.

***– ამ შემთხვევაში პოლიტიკური პატიმრების კონტექსტში ვსვამ კითხვას, ანუ თუ უგულავა შეიწყალეს, მაგრამ დანარჩენები დატოვეს ციხეში, მაშინ როგორი იქნება ოპოზიციის ქმედება?***

– რა თქმა უნდა, არა. ამაზე ევროპული საქართველოც არ წავა, ამაში დარწმუნებული ვარ. მით უმეტეს, სხვა პოლიტიკური პარტიები. ეს ვერ იქნება განხეთქილების ვაშლი.

საერთოდ ხელისუფლება გვეუბნება, რომ მალე გამოაქვეყნებს პროექტს, გამოაქვეყნონ და გვითხრან, რას აპირებენ. 40 ოლქს რომ აპირებენ, ეს ოლქები როგორ უნდა დაჭრან, გვითხრან. კარგად მახსოვს, რომ 2016 წელს მაშინდელი არათანაზომადი ოლქები რომ შეიცვალა, მაშინ სწორედ ამ არგუმენტით დაარწმუნა ივანიშვილი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გაგვიუქმებს შედეგებს, რადგან ყაზბეგშიც და გლდანშიც, ანუ ძალიან პატარა ოლქში და დიდ ოლქში თითო მაჟორიტარი ირჩევაო. ამიტომ გადანაწილდა ისე, რომ ფორმალურად თითოეულ ოლქში 48.000 ამომრჩეველია. ეს არის მთავარი საკითხი.

ჩემი იერარქია მოლაპარაკებების საკითხში ასეთია: პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც არის შეთანხმების შესაძლებლობის პირობა, ეს არის პოლიტიკური რეპრესიების შეჩერება. დაკავებულთათვის აღკვეთი ღონისძიების შეცვლა სასამართლომდე და სასამართლოს გადავადება, ასევე გიგი უგულავას საკითხის მოგვარება არსებული კანონმდებლობით. იჯდა გიგი და მოხდილი აქვს სასჯელი. ეს არის პრიორიტეტული პირობა საარჩევნო საკითხის კომპრომისის მიღწევისთვის. ჩემს პრიორიტეტებში მეორე საკითხია ოლქების თანაზომადობა. იმის მიხედვით, რა რაოდენობა იქნება ოლქში, ოლქები უნდა იყოს ტოლობა. მესამე ეს არის პროპორციების საკითხი, რომელიც იქნება მაქსიმალურად დაახლოებული პროპორციულ არჩევნებთან. 130, მინიმუმ 125 პროპორციული წესით არჩეული დეპუტატი სჭირდება 40%-იანი ნიშნულის რეალურად დაკმაყოფილებას.

ახლა რაღაც მდარე ფოკუსები, რასაც გვთავაზობენ, ეს ჩვენ არ გვაინტერესებს. გვთავაზობენ, რომ, მაგალითად, 41 ნომრით მებრძოლი კანდიდატი იყო 2016 წელს ვალერი გელაშვილი. ე. წ. მრეწველების კანდიდატი კი ნოზაძე იყო. მეორე ტურში გავიდნენ ორივე და ნოზაძეს ეხმარებოდა ხელისუფლება და მას, რომელიც მრეწველებიდან მარტო შევიდა პარლამენტში, „ოცნების“ 5 დეპუტატი მიასესხეს და მრეწველების ფრაქცია შეაქმნევინეს უმრავლესობაში. ასევე იყო 2014 წელს ე. წ. 42 ნომრები, სადაც კოალიციის ოფიციალური კანდიდატები იყვნენ 41 ნომრით, მაგალითად, რესპუბლიკელები, ძირითადად ჩვენ გვერჩოდნენ, ხოლო 42 ნომრით იყო ღარიბაშვილის ფსევდოდამოუკიდებელი კანდიდატები. განსაკუთრებით ჩხოროწყუში ჩანდა ეს, სადაც დიდი სკანდალი მოყვებოდა ხოლმე, რადგან ე. წ. იზორიების კლანის კონტროლის ქვეშ იყო ეს 42 ნომერი. ასეთ რამეს გვიპირებენ, რომ რაღაც ზედა ზღვარს დავაწესებთ, რომ, მაგალითად, 40 თუ გვექნება, 26-ზე მეტს ვერ მივიღებთ მაჟორიტარული სიიდან, მაგრამ პარალელურად იტოვებენ ფსევდოდამოუკიდებლების ინსტიტუციას.

***– ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი კანდიდატების ყიდვას გეგმავენ?***

– ეს სრულიად მკაფიოა. ასეთი რაღაცები რომ ამოიქოლოს, ამისთვის არსებობს პირდაპირი შესაძლებლობა 125/25-ზე. მე როგორც გითხარით, ჩემს იერარქიაში ეს მესამე საკითხია. ჩემთვის პირველი საკითხი პოლიტიკური რეპრესიებია, მეორე ოლქების თანაზომადობა, ხოლო მესამე პროპორციები სიასა და მაჟორიტარებს შორის. სხვათა შორის, პირველად ვსაუბრობ ამის შესახებ მედიასთან, აქამდე ამაზე საჯაროდ არ მისაუბრია.



> **ერთ დეტალს მიაქციეთ ყურადღება. ეს არის ძალიან დიდი ბრჭყალებით პატარა დეტალი – საქართველოში ჩამოსული ახალი ელჩი გაეცნო აქაურ პოლიტიკურ ელიტას, შეხვდა ივანიშვილსაც, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს. შემდეგ რამდენიმე დღით დაბრუნდა ვაშინგტონში და კინზინგერმა მასზე თქვა, რომ ჩემი სრული ნდობა აქვსო და ამის შემდეგ კელი დეგნანი დაბრუნდა უკან.**

# ბორჯომში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, იოსებ ჭელიძემ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან – თემურ მღებრიშვილთან და სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ერთად, ბორჯომში ევროპული სტანდარტების ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გახსნა. ღონისძიებას, ასევე, დაესწრნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან ღირსიაშვილი და სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესო ამირანაშვილი.

– დღეს ქალაქ ბორჯომში გაიხსნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობა. ეს შენობა აშენდა და კეთილმოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

გარდა ამისა, ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს ოთხი ახალი შენობის მშენებლობა, რომელთაგან ერთ-ერთი უმოკლეს ხანში შევა ექსპლუატაციაში.

მეხანძრე-მაშველის პროფესია არის უაღრესად რთული და რისკებთან დაკავშირებული. ამასთან დაკავშირებით, სამსახური ცდილობს, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს და ყველა პირობა შექმნას, რათა ამ ადამიანებმა მოახერხონ და ღირსეულად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძემ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქალაქ ბორჯომის სამმართველოს ახალი, თანამედროვე სახანძრო-სამაშველო შენობა მოემსახურება.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში, ქალაქ ბორჯომში სახანძრო-სამაშველო შენობა არ არსებობდა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივი განყოფილება სხვადასხვა დანიშნულების შენობებში იყო განთავსებული.

ორსართულიან შენობაში მოწყობილია 4 სპეცმანქანაზე გათვლილი სპეციალური სადგომი და იგი უზრუნველყოფილია 10-ტონიანი სარეზერვო წყლის სისტემით.

ახალ შენობაში მეხანძრე-მაშველებს პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად და მოსასვენებლად ყველა პირობა აქვთ შექმნილი – თანამშრომლებისთვის მოწყობილია სამუშაო და საძინებელი ოთახები, სპორტული დარბაზი, ასევე, სამზარეულო და სასწავლო ოთახი, რომელიც აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკითა და ავეჯით.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქალაქ ბორჯომის სამმართველოს შენობაში, სახანძრო-სამაშველო ძალების გარდა, ამავე სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული დანაყოფიც განთავსდა.



ღონისძიებაზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ბორჯომის სამმართველოს ავტოპარკს უახლესი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი, მაგირუსის მარკის სახანძრო-სამაშველო მანქანა გადასცა, რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტს და საჭიროების შემთხვევაში, სამცხე-ჯავახეთის მხარეს სრულად მოემსახურება.

# რას გვპირდება ამერიკა, რა იგულისხმა კინზინგერმა მოულოდნელ სანქციებში?!

## არჩილ გამზარდია: „არჩევნებზე მოლაპარაკების ჩაშლა ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც ერთნაირად აწყობთ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია პასუხობს.**



***– ხელისუფლება საუბრებში აცხადებს, რომ ისინი შეთანხმდნენ ოპოზიციასთან. ოპოზიცია კი აცხადებს, რომ არაფერზე შეთანხმებულან. რა ხდება, ნერვების ომი მიდის თუ რა პროცესებთან გვაქვს საქმე?***

– მე ისეთი განცდა მრჩება, რომ ერთ რამეში, შეიძლება, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც დაინტერესებულია, რომ რაღაცა დროში გაჯანჯლდეს, რადგან საბოლოო ჯამში, კომპრომისები არც ერთ მხარეს არ აწყობს. არ უნდათ კონკრეტულ საკითხზე შეთანხმება. ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადება, შესაძლოა, რაღაც სტილით მისაღებიც იყოს ოპოზიციისთვის და რაღაც სტილით არა და, შესაბამისად, ოპოზიციაც ცდილობს, რომ ხელისუფლებასთან შეთანხმება ვერ მოხერხდეს.

***– ანუ ორივე მხარეს აწყობს, რომ გაიწელოს პროცესი?***

– მე რასაც ვაკვირდები, უკვე ჩნდება შთაბეჭდილება, რომ პროცესის გაწელვა აწყობს ორივე მხარეს, იმიტომ, რომ ის წინადადებები, რაც თითოეულ მხარეს უნდა, ვერ ხერხდება. შესაბამისად, რაღაცაზე შეთანხმება, უკვე ორივე მხარის საწინააღმდეგოდაა. ამიტომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც რიტუალურად უფრო მიყვებიან ამ პროცესს, ესეც იმიტომ, რომ ჩვენი პარტნიორები უფრო არიან დაინტერესებული, რომ შიდა პოლიტიკური პროცესი ჩიხში არ შევიდეს და პრობლემა მოგვარდეს. ამას გარდა, ჩვენ ვიცით, რომ ოპოზიციას დაგეგმილი აქვს გარკვეული აქტივობები, საპროტესტო აქცია, თუ კორონა ვირუსმა არ შეუცვალა გეგმები. კომპრომისზე თუ წავლენ, საპროტესტო მოტივიც ნაკლები იქნება.

***– ურჩევნიათ, რომ პოლიტიკურად ცხელი იყოს ვითარება და ასე მივიდნენ არჩევნებამდე?***

– როგორც ჩანს, ამის ინტერესია უფრო მეტად, რადგან ხელისუფლება რა კომპრომისზეც არ უნდა წავიდეს, ის მაქსიმალურად დაიტოვებს გარანტიებს, რომ თავისთვის სასურველი მაჩვენებელი მიიღოს არჩევნების შედეგად და ხელისუფლებაში ისევ მმართველი პარტია დარჩეს.

***– გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ, კი ბატონო, გაიტანონ 110/40-ზე, ჩვენგან კი ნულპროცენტიანი მხარდაჭერა ექნებათო. ანუ ეს შეთავაზება მათ არ აწყობთ?***

– არ აწყობთ. იქ იყო საუბარი 130/20-ზე გადანაწილებაზე, ეს კი ხელისუფლებს არ აწყობს. ასე გადანაწილება, პირადად ჩემთვისაც გაუგებარი იქნება. ან უნდა იყოს არსებითად პროპორციული, ან გონივრულად შერეული. 20 მაჟორიტარის ფაქტორი, ეს ვერ გაწვდება ყველა რეგიონს და ეს გასაგებიცაა. ხელისუფლება ცდილობს, რომ ნომინალურად რამდენიმე პარლამენტარის შესაძლებლობა მისცეს ოპოზიციას, მაგრამ არა ხელისუფლებაში მოსვლის სივრცე. ოპოზიცია კიდევ ცდილობს, ის გარანტიები, რაც შესაძლებელია ხელისუფლებას ჰქონდეს, გამოაცალოს ხელიდან.

***– ანუ ყველა თავისკენ ექაჩება?***

– ასეა. საერთო ჯამში, რა რიცხვებიც შეიძლება ატრიალონ, არსი არის ასეთი: ოპოზიცია ცდილობს, შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური გარანტიები მიიღოს, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ არ დარჩეს, ხოლო ხელისუფლება ცდილობს, რომ ამ შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს მაქსიმალური გარანტიები, რომ ხელისუფლებაში დარჩეს. როდესაც ეს არის ძირითადი პრინციპი, ბუნებრივია, ამ ორს შორის კომპრომისი, პრაქტიკულად შეუძლებელია. დანარჩენი კი პოლიტიკური თამაშის მხარეა, ერთი მხრივ ჩვენ პარტნიორებთან, რომლებიც ცდილობენ, რომ მისცენ სივრცე ქართულ პოლიტიკურ ძალებს შეთანხმებისა და მეორეს მხრივ შიდა ბაზარზე, ვის უფრო გაამტყუნებს ამომრჩეველი და ამას გაითვალისწინებს საარჩევნო პროცესში.

***– ხელისუფლებას აწყობს ძველი სისტემა, ამის გამო სიტყვაც კი გატეხა, მაგრამ ბოლო პერიოდის პროცესებს თუ გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ მათ სიტყვა მისცეს დასავლეთს რაღაცას შეცვლიდნენ, ახლა სხვა გ ზა არ აქვთო. სწორედ ამიტომ ხომ არ ჩაეჭიდა ხელისუფლება 110/40-ის ვარიანტს?***

– სწორედ ეს თამაშია ხელისუფლების მხრიდან. მარტივი პირობა, რაც მმართველი პარტიის თავმჯდომარემ დადო, დღეს ცდილობენ ისე დაშალონ ეს პროცესი, რომ მერე თქვან, კონკრეტული წინადადების სახით დათმობაზე წავიდა. დასავლეთთან კი თქვას, რომ ხელისუფლებამ სცადა კომპრომისი.

***– ანუ ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, რომ ისევ ოპოზიციას გადააბრალოს ყველაფერი?***

– რა თქმა უნდა. ეს არის მცდელობა იმისა, რომ ოპოზიციას გადააბრალონ და პარტნიორებსაც აჩვენონ, რომ ხელისუფლებამ კონკრეტულ საკითხებში კომპრომისების პირობა შესთავაზა, ოპოზიცია კი არ მოდის. შესაბამისად, ეს თამაშია ხელისუფლების მთელი ინტერესი.

პროპორციულის შემთხვევაში იციან, რომ ხელისუფლების დაკომპლექტება გაუჭირდებათ. ამ შემთხვევაშიც ცდილობენ ბურთი ოპოზიციის მხარეს გადააგდონ, რომ თუ თავდაჯერებულები ხართ, მაშინ შერეული სისტემითაც მისაღები უნდა იყოს. რაზეც, ზუსტად იგივე დისკუსით პასუხობს ოპოზიცია.

***– ჩვენ მოვისმინეთ საკმაოდ მკვეთრი და მუქარანარევი განცხადებები ამერიკიდან. როგორც კინზინგერმა განაცხადა, ბევრისთვის მოულოდნელი იქნება ჩვენი გადაწყვეტილებაო. რა იგულისხმება სიტყვა მოულოდნელში?***

– ბუნებრივია, არც დასავლეთს მოსწონს ხელისუფლების ქმედებები, ეს თამაში, რომ ვითომდა ცვლილებებს გეგმავენ. დასავლეთი უკვე დიდი ხანია ახორციელებს იმას, რასაც ჩვენ გვთავაზობენ, რომ პოლიტიკურ ძალებს იქ ერთგვარი კომპრომისები მუდმივად უწევს. ხომ ვნახეთ, შეერთებულ შტატებშიც, ტრამპის იმპიჩმენტიც ბეწვზე გადარჩა. იქ ოპოზიცია მძლავრია და ხელისუფლება ხედავს, რომ რაღაც მომენტებში უკან უნდა დაიხიოს და გაითვალისწინოს ოპოზიციის მოთხოვნებიც. ისინი მუდმივად კომპრომისებზე მიდიან და ამ ფონზე ხედავენ, რომ ქართული მხარე ამ ყველაფერზე უარზეა. ეს კი ძალიან ცუდი ტონია. ისინი რაღაც არარსებულს კი არ სთავაზობენ ჩვენს ხელისუფლებას, არამედ დემოკრატიის საკმაოდ აპრობირებულ და ძალიან სტანდარტულ ფორმებს, რომ კონკრეტული ჩინოვნიკების თავნებობისაგან იყოს პროცესი დაცული.

***– რა შეიძლება იყოს ეს სანქციები?***

– მე აქ ერთმა ფრაზამ დამაფიქრა, როდესაც კინზინგერმა თქვა, რომ მოულოდნელი შეიძლება იყოსო. სანქციებზე უკვე დიდი ხანია საუბარი მიდის, ამიტომ ეს ვერ იქნება მოულოდნელი. რთული სათქმელია რა იგულისხმა. მე ამ სიტყვა მოულოდნელს ცოტა სიფრთხილით მოვეკიდები, რადგან ძნელი მისახვედრია ტერმინ მოულოდნელში რა იგულისხმება. მოულოდნელი ნიშნავს ისეთ ვერსიას, რომელზედაც მსჯელობა არ მიდის.

***– საბოლოოდ მაინც რა ვერსიით მივალთ არჩევნებამდე?***

– ვნახოთ, ამ სამი-ოთხი დღის შემდეგ რას შემოგვთავაზებს ხელისუფლება. შეიძლება ამ საერთაშორისო ზეწოლამ მეტნაკლები შედეგი გამოიღოს. სხვა შემთხვევაში, შეიძლება მივიღოთ ჩაშლილი მოლაპარაკება და მე, როგორც ვუყურებ, ეს ორივე მხარეს უნდა საქართველოში, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. უბრალოდ, არც ერთს არ უნდა ამის ინიციატორი იყოს, რადგან ძალიან ცუდად პოზიციონირდებიან.

# დაიჭერენ თუ არა ნიკა მელიას?

## სოსო ცინცაძე: „ხელისუფლების და ოპოზიციის შეთანხმება ამაზეა დამოკიდებული“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, ამ ერთკვირიან ვადაში რამდენად იქნება მიღწეული შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის?***

– მე მაინც ვფიქრობ, რომ რასაც არ დათმობს ხელისუფლება, ეს არის დაკავებულების გამოშვება. ეს იქნება პოლიტპატიმრების არსებობის აღიარება, რასაც, ცხადია, ხელისუფლება უარყოფს.

„ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ საერთაშორისო არენაზე იმიჯის თვალსაზრისით ეს მისთვის დარტყმა იქნება. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ნიკა მელიას სასამართლო პროცესი, რომელიც 10 მარტს არის ჩანიშნული. თუ მელია დააპატიმრეს, მაშინ უკვე შეუძლებელი იქნება რაიმე სახის შეთანხმების მიღწევა. ეს მშვენივრად იცის მმართველმა პარტიამაც. მელიას პროცესი იქნება ლაკმუსის ქაღალდი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, თუ რაზეა წამსვლელი ხელისუფლება – დაიხევს ის უკან თუ პირიქით, მიუხედავად ყველაფრისა, გადალახავს ამ წითელ ხაზს.

ამ შემთხვევაში ხელისუფლებას ალბათ არც ოპოზიცია არ ჩამორჩება და ისიც გადალახავს რუბიკონს. ეს უკვე ძალიან ცუდი იქნება. ეს იქნება ნიშანი, რომ მთელი წინასაარჩევნო პერიოდი გაივლის ძალიან დაძაბულად, ნეგატიურად, რასაც მოჰყვება არჩევნები და შემდეგ უკვე მისი შედეგების ცნობა-არცნობის საკითხი. ეს იქნება ურთულესი პერიოდი.

ნიკა მელიას თუ პირობითი მსჯავრი დაედება ან ჯარიმა, ეს იქნება ნიშანი, რომ ხელისუფლება მზად არის გარკვეული კომპრომისისთვის. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ოპოზიცია სწორედ მელიას სასამართლო განაჩენის მოლოდინშიც იყოს, ხელისუფლება კი ჩქარობდეს.

***– 10 მარტამდე ოპოზიციის პასუხი შეიძლება არც იყოს?***

– რა თქმა უნდა, 10 მარტამდე მე ოპოზიციიდან გადაწყვეტილებას არ ველოდები. თუ დათანხმდებიან „ოცნების“ შემოთავაზებას 110-40-ზე და ამ დროს მელიას დააპატიმრებენ და 8-9 წლით ციხეში გაუშვებენ, ეს არაფერს მოუტანს ოპოზიციას, პირიქით, სახეს დაკარგავს.



***– ამ პროცესში რა არის ოპოზიციის მინუსი?***

– ქარიზმატული ლიდერის არარსებობა. ოპოზიციის მიდგომა სავსებით სწორია, როგორც დასავლეთშია, ევროპულ ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც ბელადზე, მესიაზე კი არ არის ჩამოკიდებული ყველა და მას კი არ შესციცინებენ, როგორც მხსნელს, მაგრამ ჩვენი საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ პოსტსაბჭოთა საზოგადოების მემკვიდრეა, ბელადებსაა მიჩვეული.

ჯერ იყო გამსახურდია, შემდეგ შევარდნაძე, რომელსაც დაუჩოქეს. ხალხი, რომელიც ხელისუფალს უჩოქებს, არ არის საზოგადოება. მერე იყო სააკაშვილი, რა, ბიძინა ივანიშვილი, როგორც მესია, ასე არ იყო აღქმული?! ხალხმა ჩათვალა – მოვიდა მილიარდერი და ჩვენ არც მუშაობა გვინდა, არც ეკონომიკა, არაფერი არ გვჭირდება, იქნება უფასო ფული და გვეშველება.

ამიტომ, ქარიზმატული ლიდერის დეფიციტი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ოპოზიციას ლიდერი არ ჰყავს. პოტენციური ლიდერი, გიგი უგულავა, განეიტრალებულია. ნიკა მელიაც არის ქარიზმატული ლიდერი, მაგრამ ის განაჩენის მოლოდინშია. დანარჩენ ლიდერებს ქარიზმა არ აქვთ.

სულ სხვა რეალობა იქნებოდა, ოპოზიციას რომ ჰყავდეს ქარიზმატული ლიდერი.

***– როგორც თავის დროზე ივანიშვილი იყო?***

– უნდა გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი უკვე აღარ არის ის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც 2012 წელს იყო.

***– ამ არჩევნებზე ივანიშვილი ფაქტორი ვერ იქნება?***

– გაუჭირდება, ძალიან რთული იქნება, მაგრამ კარტები იმდენად აჭრილია, რომ ძალიან რთულია, ამ მეტად მნიშვნელოვან არჩევნებზე წინასწარ თქვა, რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი და რა – არა.

# თეთნულდზე ზვავს 3 ტურისტი შეეწირა

თეთნულდზე ზვავს 3 ტურისტი შეეწირა

თეთნულდის მიმდებარე ტერიტორიაზე ზვავის ჩამოწოლის შედეგად 3 ტურისტი დაიღუპა.



10 ადამიანისგან დაკომპლექტებული იტალიელი ტურისტების ჯგუფი თეთნულდის მიმდებარე ტერიტორიაზე აკრძალულ ზონაში სრიალებდა, რის შედეგადაც ზვავი მოწყდა.

ზვავმა 10 ტურისტიდან 6 მოიყოლა.

მომხდარზე მყისიერი რეაგირება მოახდინა სამაშველო სამსახურმა. ორი ადამიანი უვნებლად გამოიყვანეს ზვავიდან, ერთს კი მრავლობითი მოტეხილობები აღენიშნება.

სამწუხაროდ, დარჩენილი 3 ადამიანის გადარჩენა ვერ მოხერხდა, მაშველებმა ისინი გარდაცვლილები იპოვეს.

– „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ მოგმართავთ თხოვნით, თქვენივე უსაფრთხოებისთვის ნუ გადახვალთ აკრძალულ ტერიტორიაზე სასრიალოდ, დაემორჩილეთ ადმინისტრაციასა და მომზადებულ სათხილამურო გზებზე მარკირებულ ნიშნებს, – ნათქვამია კომპანიის ინფორმაციაში.

# ოჯახში ძალადობის ბრალდებით 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახში ძალადობის ბრალდებით, 1988 წელს დაბადებული შ.ლ. დააკავეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მეუღლეს, 1987 წელს დაბადებულ მ.რ.-ს, მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება ოჯახში ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

# „დედას ზურგში დანა ჩაარტყა, ხალიჩაში გაახვია და ცეცხლი წაუკიდა“

## დედის მკვლელობისთვის ბ.ს. დააკავეს

2 მარტს თბილისში, ისანში, მკვლელობა მოხდა, რომელიც შსს-მ 3 მარტს გახსნა.

პოლიციამ 1991 წელს დაბადებული ბ.ს., დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავა.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 2 მარტს ბრალდებულმა დედას – 1958 წელს დაბადებულ თ.ტ.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, გარდაცვლილი ქალის ცხედარს მათსავე საცხოვრებელი სახლის ეზოში ცეცხლი წაუკიდა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით ერთი მეზობელი აცხადებს, რომ დედა-შვილს კონფლიქტი არასდროს ჰქონია. სახლში დედა-შვილი მარტო ცხოვრობდა.

– არაფერი ხმაური არ გამიგია, დღეს გავიგე, რომ მკვლელობა მომხდარა. მე ვიცნობდი მათ შორიდან, დიდი ხანია, აქ ცხოვრობენ. არანაირი კონფლიქტი არასდროს არ შემიმჩნევია, ძალიან კარგი ხალხი იყვნენ, წყნარი ოჯახი იყო საკმაოდ. დედა და შვილი ცხოვრობდნენ სახლში და მათი სახლიდან ხმაური არასდროს გაგვიგია. მე თვითონაც გაკვირვებული ვარ, რომ ასეთი რამე მოხდა.

რაც შეეხება მეზობლებთან კონფლიქტს, მე არასდროს არ გამიგია. როგორც ვიცი, ნასამართლევი არც ერთი ყოფილა, – განაცხადა მეზობელმა.

ნიუპოსტის ცნობით, მეზობლებმა სახანძრო მას შემდეგ გამოიძახეს, რაც 29 წლის ბიჭმა, ნაგვის დაწვის მოტივით, ხანძარი გააჩინა, ცეცხლის კერების მატებამ კი ადგილობრივები შეაშინა.



სხვა მეზობელი ამბობს, რომ ბიჭი პოლიციას წინააღმდეგობას უწევდა და ის თავდაპირველად სწორედ სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს. დაკითხვისას, საეჭვო საქციელის გამოკვეთის შემდეგ, პოლიციამ შემთხვევის ადგილზე დაბრუნება გადაწყვიტა და ეზოში ნახევრად დამწვარი 62 წლის ქალის ცხედარი იპოვა.

გეთიას ქუჩაზე მცხოვრებლები ამბობენ, რომ ოჯახი სოციალურად დაუცველია და ჩაკეტილი ცხოვრების წესით ცხოვრობდა. ადგილობრივების მონაყოლით, ქალი ხშირად სვამდა, რაც კონფლიქტის მიზეზი არაერთხელ გამხდარა.

ქალი საკმაოდ კარგად ხატავდა, რაც თავის რჩენის ერთ-ერთი საშუალება იყო.

– ხმაურმა გაგვაღვიძა, ნაგავს წაუკიდაო, ბოლოს გაირკვა, რომ მოკლული დედის ცხედრის მოშორება უნდოდა... ქალი კარგად ხატავდა და რესტორნებში ხალხის ხატვით ირჩენდა თავს, – თქვა მეზობელმა.

მისივე თქმით, რესტორნები ხშირად სოციალურად დაუცველს მორჩენილ საჭმელს ატანდნენ, რაც ქალს შვილისთვის მოჰქონდა.

მკვლელობაში ბრალდებულს მეზობლები ფაქტობრივად არ იცნობენ, რადგან, მათი თქმით, ის სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. ნიუპოსტთან საუბრისას ადგილობრივებმა თქვეს, რომ ბიჭი არაკონტაქტური იყო, ხშირად სვამდა და ბომჟივით ცხოვრობდა.

მკვლელობის მომენტში მამაკაცი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და იგინებოდა.

– შეურაცხადივით იქცეოდა, საკუთარ სახლში ნაგვის დაწვასაც არ მაცდიანო, პოლიციასაც ხელი ჰკრა. ქალის ცხედარი მეორე დღეს იპოვეს, ნახევრად დამწვარია, დანა ზურგში ჩაურტყამს, ხალიჩაში გაახვია და ცეცხლი წაუკიდა, – თქვა მეზობელმა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# მარიანა ჩოლოიანი თავს დამნაშავედ არ ცნობს



15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით დაკავებული გამომძიებლის, მარიანა ჩოლოიანის განმარტებით, ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ამის შესახებ ჩოლოიანმა გუშინ, 4 მარტს, სასამართლო პროცესზე განაცხადა.

15 წლის მოზარდი ლუკა სირაძე, რომელმაც პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა, 17 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი დააკავეს.

მას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 19 დეკემბერს შეუფარდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ლუკა სირაძის საქმეზე, პოლიციის კიდევ რამდენიმე თანამშრომლის მხრიდან ადმინისტრაციული გადაცდომა გამოკვეთა. უწყებამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა პოლიციის მუშაკებისთვის შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

# პოლიციამ 6,5 მილიონი ლარის ნარკოტიკები გაანადგურა




შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად სისხლის სამართლის 765 საქმეზე ნივთმტკიცებად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა, რომელთა საერთო ღირებულება ე.წ. შავ ბაზარზე, დაახლოებით, 6 მილიონ-ნახევარი ლარია.

სამართალდამცველები ნარკოტიკებს და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სასამართლოს განაჩენის შემდეგ, სპეციალური მუდმივმოქმედი კომისიის თანდასწრებით, ეტაპობრივად ანადგურებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაანადგურა უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები: 291 კილო და 340 გრამი „კანაფი“ , 18 კილო და 364 გრამი „მარიხუანა“ , 290 გრამი „ჰეროინი“, 981 აბი „სუბუტექსი“, 630 აბი „კოდეინი“, 448 აბი და 5,46 გრამი „მდმა“, 262 კაფსულა და 25 გრამი „პრეგაბალინი“, 218 აბი და 16 გრამი „ტრამადოლი“, 133 აბი „ამფეტამინი“, 5 ამპულა „მორფინის ჰიდროქლორიდი“, 53 გრამი „მეტადონი“, 4,5 გრამი „მორფინი“ და 36 გრამი კანაფის ფისი.

სამართალდამცველებმა უკანონო ბრუნვიდან ნივთმტკიცებად ამოღებული ნარკოტიკები ახალი ტექნოლოგიით, გარემოსდაცვითი თანამედროვე სტანდარტების მაღალტემპერატურულ ღუმელში გაანადგურეს.

ნარკოტიკული საშუალებების განადგურების პროცესს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა სამინისტროს და უწყების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

# ნიკო ფიროსმანის „სააღდგომო ბატკანი“ მოსარჩელეს დაუბრუნდა



სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული ექსპერტიზის დასკვნით, ფერწერული სურათი „ბატკანი“, სავარაუდოდ, ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუში გახლდათ.

2012 წლის 5 ივნისს ბრალდებულ მ.შ.-სთან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, საქმეზე ამოღებული ფიროსმანის სურათი გადაეცა სახელმწიფოს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გაგზავნილი წერილის საფუძველზე, ტილო საქართველოს ეროვნულ მუზეუმს უსასყიდლოდ გადაეცა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის ოჯახს 2011 წელს ჩამორთმეული და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული ფიროსმანის ტილო დაუბრუნდა.

როგორც ინტერპრესნიუსს თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერული სურათი საქართველოს ეროვნული მუზეუმის მფლობელობიდან გამოითხოვება და მოსარჩელე ნ. ა.-ს გადაეცემა.

საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელის მამამ დ.ა.-მ 2009 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიმართა და წარდგენილ ნიმუშზე ნიკო ფიროსმანაშვილის ,,სააღდგომო ბატკანი“, შესაბამისობის დადასტურება და დასკვნის გაცემა მოითხოვა.

სამინისტროში წარდგენილ ნიმუშს თან ერთვოდა ანტიკვარული სალონის დირექტორის მ.შ.-ს მიერ გაცემული შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2010 წელს ოჯახს მინისტრ ნიკოლოზ რურუას ხელმოწერით წერილობითი პასუხი დაუბრუნდა, რომ ,,სააღდგომო ბატკანი“ არ მიეკუთვნებოდა ფიროსმანის შემოქმედებას, თუმცა მალევე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნიკო ფიროსმანის ნამუშევრის შეძენისა და გასაღების მცდელობის ფაქტზე და ბრალი წარედგინა როგორც დ.ა.-ს (მოსაჩელის მამა), ასევე ანტიკვარული სალონის დირექტორ მ.შ.-ს.

„თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით, გამოძიების ფარგლებში გამოვლენილი მ.შ.-ს უფლებების არსებითად დარღვევის ფაქტების საფუძველზე, გააუქმა 2012 წლის 5 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და მ. შ. წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.

სასამართლომ განაჩენში მიუთითა, რომ გარკვეული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები განაჩენის გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო. სისხლის სამართლის განმხილველმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერული ნამუშევრის „ბატკანის“ კუთვნილების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლომ სარჩელის განხილვისას მოისმინა მხარეთა პოზიციები, შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაადგინა, რომ მოსარჩელე ფიროსმანის ფერწერული ნამუშევრის „ბატკანის“ მესაკუთრეა, ხოლო საქართველოს ეროვნული მუზეუმი – არამართლზომიერი მფლობელი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღარ არსებობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხრიდან სადავო სურათის მართლზომიერად ფლობის საფუძველი და ნახატის კუთვნილების საკითხი მოსარჩელის ნ.ა.-ს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

# განზრახ მკვლელობისთვის ნ.მ.-ს 10 წელი მიესაჯა



ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისთვის, ძარცვისა და სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებისთვის ბრალდებული ნ.მ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 12 ივნისს, დილის საათებში, ბორჯომი-ბაკურიანის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე, ნ.მ-მ სხვა პირთან ერთად, ბლაგვი საგნის გამოყენებით, განზრახ დააზიანა მ.ფ-ს კუთვნილი მიკროავტობუსის კორპუსი და მინები.

აღნიშნულის შემდეგ, მიკროავტობუსის ძარაზე განთავსებულ სავაჭრო ჯიხურში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მოკვლის განზრახვით, გამყიდველს ა.პ.-ს ნაჯახით თავის არეში ჭრილობები მიაყენა.

მიღებული დაზიანებების შედეგად ა.პ. ადგილზე გარდაიცვალა.

იმავე დღეს ნ.მ.-მ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერში, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორ ა.გ.-ს და თანხის გადახდის გარეშე, ავტომობილში საწვავი ჩაასხმევინა.

სამართალდამცველებმა ნ.მ. 2019 წლის 12 ივნისს დაბა ბაკურიანში დააკავეს.

მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით (ძარცვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ნ.მ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# ერდოღანი: „თუ ევროპას სურს მიგრანტების კრიზისის მოგვარება, თურქეთს სირიაში მხარი უნდა დაუჭიროს“



— ევროპულმა ქვეყნებმა თურქეთის პოლიტიკას ჩრდილო-დასავლეთ სირიაში მხარი უნდა დაუჭირონ, თუ ჭეშმარიტად სურთ მიგრანტების კრიზისის გადაწყვეტა.

ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ქვეყნის მმართველ პარტიისადმი სიტყვით მიმართვის დროს განაცხადა.

მან დასძინა, რომ, მიმდინარე მოვლენების ფონზე, ევროკავშირს მოუწევს, ანკარას მხარი დაუჭიროს.

თურქეთის პრეზიდენტმა იდლიბში განხორციელებული ოპერაციების დროს, თურქეთის ჯარების მიღწევებზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, სირიის რეჟიმს სხვა ქვეყნების დახმარება ვერ გადაარჩენს.

— მალე ბაშარ ასადის რეჟიმი ნახავს, რომ იდლიბის მიღმაც ხალხი მის წინააღმდეგ აღდგება. რეჟიმი მხოლოდ მაშინ მიხვდება, რომ სხვა ქვეყნების საჰაერო და სამხედრო მხარდაჭერა ველარ გადაარჩენს, — განაცხადა ერდოღანმა.

ბოლო რამდენიმე კვირაა, იდლიბში პროთურქულ სირიის ოპოზიციასა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ასადის ჯარებს შორის ბრძოლები მიმდინარეობს. თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა, რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ რეგიონში სამხედრო ყოფნა გააძლიერა.

შეტაკებებში ერთ მხარეს თურქეთის ჯარები, ხოლო მეორე მხარეს რუსული ავიაცია მონაწილეობენ.

პარალელურად, თურქეთმა მიგრანტებს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, ევროპისკენ მიმავალი გზა გაუხსნა. ათასობით მიგრანტი ევროკავშირის საზღვრებთან იმყოფება.

ერდოღანმა საბერძნეთის ხელისუფლება მიგრანტებთან დამოკიდებულების გამო მკაცრად გააკრიტიკა. მისი თქმით, ათენი მიგრანტებს, რომლებიც მის საზღვრებთან დახმარებას ითხოვენ, „არაჰუმანურად ექცევა“.

— ჩვენი ბერძენი მეზობლები, ყველა საშუალებას იყენებენ, რომ აკრძალონ მიგრანტების შესვლა ქვეყანაში, მათ შორის, ახრჩობენ ადამიანებს ზღვაში და ხვრეტენ. მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ერთ დღეს შესაძლოა, სხვების თანაგრძნობა თვითონაც დასჭირდეთ, — აღნიშნა ერდოღანმა და დასძინა, რომ ევროკავშირმა რეალობა უნდა აღიქვას და თურქეთს დაეხმაროს.

თურქეთის ოფიციალურმა პირებმა ბოლო პერიოდის განმავლობაში არაერთხელ განაცხადეს, რომ ქვეყანა სირიის დამატებით ლტოლვილთა ტალღას „ველარ გაუმკლავდებოდა“.

რამდენიმე დღის წინ, იდლიბის პროვინციაში სირიის სამთავრობო ძალების თავდასხმის შემდეგ, რომელსაც 33 თურქი ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა, ანკარამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მიგრანტებს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას გაუხსნიდა.

ამ დროისთვის თურქეთში დაახლოებით 4,1 მილიონი მიგრანტი და ლტოლვილი იმყოფება.

# იტალიაში კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობამ მოიმატა



გუშინ, 4 მარტს, იტალიაში კორონავირუსით დაღუპულთა რაოდენობამ 79-ს მიაღწია მას შემდეგ, რაც ბოლო 24 საათის მანძილზე 27 ადამიანი გარდაიცვალა.

ეს ჩინეთს გარეთ კოვიდ-19-ით ფატალობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

რაც შეეხება ინფიცირებულთა საერთო რაოდენობას, იტალიაში კორონავირუსი ამ დროისთვის 2.502 პირს დაუდასტურდა.

ადგილობრივი მედია აცხადებს, რომ საავადმყოფოებში ადგილების და ექიმების დეფიციტია.

# სამხრეთ ფლორიდის კათოლიკურ ეკლესიებში ზიარების ჭურჭლის გამოყენება დროებით შეწყდება



კორონავირუსის საფრთხის გამო, სამხრეთ ფლორიდის კათოლიკური ეკლესიები წესებს ცვლიან. მაიამის არქიეპარქიამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ამ ცვლილებებზეა საუბარი. განცხადების თანახმად, დაცარიელდება ნაკურთხი წყლის რეზერვუარი ეკლესიის შესასვლელებში, დროებით შეწყდება ზიარებისთვის განკუთვნილი ჭურჭლის გამოყენება. ამასთან, მღვდელმსახურებმა ცერემონიის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ხელები ანტიბაქტერიული საპნით უნდა დაიბანონ.

ასევე, ეკლესია აფრთხილებს მორწმუნეებს, იმ შემთხვევაში, თუ გრიპის სიმპტომები აქვთ ან თავს შეუძლოდ გრძნობენ, სახლებში დარჩნენ.

# „მოხსენით სანქციები!“

## როუჰანიმ აშშ-ს მიმართა



ირანის პრეზიდენტმა, ჰასან როუჰანიმ, ამერიკის შეერთებული შტატები თანაგრძნობაში დაადანაშაულა და მოუწოდა, ირანს სანქციები მოუხსნას. ამის შესახებ ქვეყნის ლიდერმა მთავრობის სხდომის დროს განაცხადა.

— ისინი თანაგრძნობის ყალბი ნიღბით ამბობენ, რომ სურთ ირანელ ხალხს დაეხმარონ. თუ მართლაც სიმართლეს ამბობთ, მაშინ მოხსენით სანქციები წამლებზე, — აღნიშნა როუჰანიმ.

მისივე თქმით, კორონავირუსმა ირანის ყველა პროვინცია მოიცვა და აღნიშნა, რომ ეს გლობალური დაავადებაა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# განო მელითაური გაქურდეს

განო მელითაური ქურდების სამიზნე გახდა:

— ქურდობა ტეხავს! ჩემი განცხადება იქნებ ნახოს! მას რეალურად აქვს შანსი გაიაზროს და დასაქმდეს კომბინიზონაში!

ჩემო გაუზრდელო ქურდო! ვწუხვარ, რომ არავინ გასწავლა, რა ცუდად მოიქეცი! ან იმდენად გაგიჭირდა, ამ საშინელ საქციელს სჩადიხარ!

დარწმუნებული ვარ კითხულობ, ცხრა კლასის განათლებაც არ სჭირდება იმას, რომ გატარებებით კამერებიდან ამოგაგდებ! შეგნებულად არ დავბლოკავ არც ერთ ბარათს! რადგან უტიფარი თავხედი ხარ, პირადობა მანქანაში დამიტოვე, „ბარდაჩოკში“ შეაგდე, სანამ გვიან არ არის გამომეხმაურე, არ მინდა აქ განცხადების დაწერა, არ დაგაბრუნებინებ თანხებს, უბრალოდ მაინტერესებს, რატომ მოიქეცი ასე: თუ პურის ფული გიჭირს, ვეცდები დაგარწმუნო, რომ ქურდობა გამოსავალი არ არის! გპირდები, დაგეხმარები გამოსავლის პოვნაში!

4 შვილი მყავს და იქნებ რის თანხებს ხარჯავდი? მე დღეს რენეს გეგმიური სამედიცინო ვიზიტის გაუქმება, ტასოს მათემატიკის მასწავლებლის ხელფასი და კიდევ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი თემა დამეკიდა ჰაერში!

ველი გამოხმაურებას, მერე პასუხის გაცემა სამართალდამცავებისთვის მოგიწევს!

სანამ გვაქვს იმის შნო, რომ მანქანის კარი გავხსნათ, გადავიხაროთ და საფულე გადარჩევით გავქურდოთ, შემდეგ წავიდეთ სპარში, კორელაში და ა.შ., ეს ნიშნავს, რომ არ გვაქვს მოძრაობის შეზღუდვა, არც გონებრივი, რადგან ეს დავგეგმოთ, შესაბამისად, ყველა შანსი გაგვაჩნია სამსახური ვიშოვნოთ:

მენაგვე: საშუალო ხელფასი 1000ლ

მეეზოვე: საშუალო ხელფასი 450-600ლ

დამლაგებელი: დღეში საშუალოდ 20-30-50ლ

საწყობის მუშა: საშუალოდ 500-600-800-1000ლ

გრუშიკი ნებისმიერი ტიპის სარემონტო სამუშაო: დღეში საშუალოდ 20ლ

გამყიდველი, ასისტენტი, კურიერი: დღეში მინიმუმ 15-30ლ

გაყიდვები, დისტრიბუცია და მსგავსი: საშუალოდ 500-1000 - 1500ლ

და ეს სია დაუსრულებელია! და სამუშაო ადგილები უთვალავი, მარტო ჩემს ახალდაწყებულ საწარმოში სისტემატიურად მაქვს აქედან სამი ვაკანსია მაინც!

და ქურდობას მუშაობა ჯობია!

ამ ქვეყანას ასე არასდროს არაფერი ეშველება! სხვისი ქილიკი, სხვისი გინება, თითების შვერა, გაუთავებელი წუწუნი, სხვების ფულების თვლა და უსაქმურობაა მოდაში!



ვბრაზდები, განა ასჯერ მეტს არ ვიშრომებ, რომ ავანაზღაურო ზარალი, უბრალოდ ეს განცხადებაც ჩემი ილუზიაა, რომ ერთ ადამიანს მაინც შევცვლი უკეთესობისკენ ჩემს სანუკვარ დოყლაპიებით გატენილ ქვეყანაში!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ტალღოვანმა თუთიყუშმა სტრესის გამო ბუმბული დაკარგა



ნიდერლანდების ქალაქ ზუტერმერის მკვიდრმა ქალბატონმა შეიფარა სრულიად გამელოტებული ტალღოვანი თუთიყუში, რომელმაც მთელი თავისი ბუმბულები სტრესის გამო დაკარგა, რომელიც მან თავის ადრინდელ პატრონთან ცხოვრების დროს გადაიტანა.

ნარჯარა ბენაარსმა საკუთარ სახლში შეიფარა ტალღოვანი თუთიყუში სახელად კოკო, რომელსაც სტრესის გამო ვირუსული დაავადება დაემართა და გამელოტდა. სავარაუდოდ, მას ადრინდელი პატრონები ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ.

ბუმბულების დაკარგვის შედეგად კოკომ ფრენის შესაძლებლობაც დაკარგა. მიუხედავად ახალი პატრონის მხრიდან მზრუნველობისა, თუთიყუშს ბუმბულები დღემდე არ ამოსვლია.

— დაავადებამ ბუმბულების ფულიკულები დაუზიანა. ზოგჯერ თავსა და მკერდზე პატარა ბუმბულები გამოსდის, მაგრამ ისინი ძალიან მალევე ცვივა, — განაცხადა ბენაარსმა, — კოკოზე ვზრუნავ, ჩემ სახლში ყოველთვის თბილა. მთელი გულით მიყვარს კოკო და ვცდილობ, რამდენადაც შესაძლებელია, ცხოვრება გავუუმჯობესო.

# სიმსუქნემ მამაკაცი დაღუპვას გადაარჩინა



ინგლისის დორსეტის საგრაფოს ქალაქ ბორნმუთში მდებარე pab The Christoper Greeke-ში მსუქანი მამაკაცი კიბიდან გადმოვარდა და ცოცხალი საკუთარი დიდი მუცლის წყალობით გადარჩა.

გასული წლის აგვისტოში 61 წლის კოლინ ჰეიზი კიბით ტუალეტში ჩადიოდა, რა დროსაც ფეხი დაუცდა და დაეცა. საავადმყოფოში მამაკაცს ტვინში სისხლჩაქცევა დაუდგინეს. ექიმების თქმით, ის სიკვდილს სიმსუქნემ გადაარჩინა, ვინაიდან დიდმა მუცელმა დაცემის დროს დარტყმის ძალა შეამცირა.

— არ მახსოვს, როგორ მოხდა ეს ყველაფერი. ექიმები მარწმუნებენ, გამხდარი რომ ვყოფილიყავი, დიდი ალბათობით, უკვე ცოცხალი აღარ ვიქნებოდი, ვინაიდან თავით დავეცემოდი, — განაცხადა ჰეიზმა.

ბრიტანელმა საავადმყოფოში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ოთხი დღე გაატარა. მიუხედავად მომხდარისა, ჰეიზმა გადაწყვიტა, საკუთარი თავი ფორმაში მოეყვანა და მას შემდეგ წონაში 12,7 კილოგრამი დაიკლო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბრონაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● მაქვს „ერექტორები“. ის აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს, არ შეიგრძნობა და უტყუარია კონტაქტების დროს თვით სქესობრივად უძლურებშიც. მის შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასებში. ტელ: 2-99-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# ოლიმპიადა არ გადაიდება



ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე უმთავრეს საკითხად განიხილეს ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება.

იაპონიის დედაქალაქი ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ უდიდეს სამუშაოს ასრულებს, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით კორონავირუსის გავრცელების გამო, თამაშების გაუქმების ან გადავადების ვარაუდებიც არაერთხელ გაისმა.

ამასთან, თამაშების მასპინძელმა იაპონიამ ოლიმპიადის ორგანიზებაზე 12 მილიარდი დოლარი დახარჯა და არ აპირებს მის ჩატარებაზე უარის თქმას.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ მიუხედავად შექმნილი ვითარებისა და პრობლემებისა, ოლიმპიური თამაშები ტოკიოში გეგმისამებრ – 24 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება.

# სტრასბურში ქართული კინოს დღეები ჩატარდება




ევროსაბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით და საქართველოს კინოაკადემიის მონაწილეობით სტრასბურში ქართული კინოს დღეები გაიმართება.

საქართველო ექვსი თვით ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ქვეყანაა და სწორედ, ამ მოვლენას მიეძღვნება ქართული კინოს დღეები სტრასბურში, რომელიც ოთარ იოსელიანის ფილმით „გიორგობისთვე" გაიხსნება.

ქართული კინოს დღეების პროგრამის ფარგლებში ნაჩვენები იქნება ელდარ შენგელაიას „თეთრი ქარავანი", ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი", მიხეილ კობახიძის „ქოლგა", „ქორწილი" და „მუსიკოსები", ლანა ღოღობერიძის „ინტერვიუ პირად საკითხებზე", ნუცა ალექსი-მესხიშვილის „კრედიტის ლიმიტი".

ქართული კინოს დღეები სტრასბურში 16 მარტს დაიხურება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# იდეალური ჯგუფი იდეალური კალენდრით

## ერთა ლიგის წილისყრა შედგა



ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამში უეფას ერთა ლიგის 2020-21 წლების სეზონის წილისყრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, გენერალური მდივანი დავით მუჯირი, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე იაშვილი და ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი ესწრებოდნენ.

საქართველოს ეროვნული ნაკრებმა უეფას ერთა ლიგის ც დივიზიონში ასპარეზობის უფლება 2018-19 წლების სეზონში ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლით მოიპოვა. გასულ სეზონში ნაჩვენები შედეგიდან გამომდინარე ჩვენი გუნდი ამსტერდამში გამართულ წილისყრის ცერემონიაზე ც ლიგის პირველ კალათაში მოხვდა.

წილისყრის შედეგად კი გაირკვა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები 2020-21 წლების სეზონში ჯგუფში ჩრდილოეთ მაკედონიის, ესტონეთისა და სომხეთის ეროვნულ გუნდებთან ერთად იასპარეზებს.

ახალი ერთა ლიგის გათამაშება 2022 წელს ყატარში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს იძლევა. ტრადიციული შესარჩევი ევროპის ზონაში 2021 წლის მარტში დაიწყება და იმავე წლის ნოემბერში დასრულდება. ანუ, როგორც შარშან იყო ევროშესარჩევში. 55 ნაკრები გადანაწილდება 10 ჯგუფში და პირველადგილოსნები პირდაპირ მიიღებენ ყატარის საგზურს. დარჩება 3 ვაკანტური ადგილი.

**შემდეგ:** 10 მეორეადგილოსანი და პლუს ერთა ლიგის 2020-21 წლის გათამაშებიდან 2 საუკეთესო გუნდი (ოღონდ მათგან საუკეთესოები, რომლებიც ტრადიციულ შესარჩევში 1-2 ადგილებზე არ გავლენ) ფლეი ოფში ითამაშებენ. ანუ, ეს 12 ნაკრები 6 წყვილს შეადგენს. გამარჯვებული 6 გუნდი კიდევ 3 წყვილს შეადგენს და სწორედ ეს 3 მოგებული გავა მუნდიალზე.

გზა, რა თქმა უნდა, ურთულესია, მაგრამ შესაძლებელია, რომ ერთა ლიგიდანაც მოხვდე ყატარში.

ერთა ლიგის გათამაშების კალენდარი ასეთია:

**5 სექტემბერი**
ჩრ.მაკედონია-სომხეთი;
ესტონეთი-საქართველო;

**8 სექტემბერი**
სომხეთი-ესტონეთი;
საქართველო-ჩრ.მაკედონია;

**8 ოქტომბერი**
სომხეთი-საქართველო;
ესტონეთი-ჩრ.მაკედონია;

11 ოქტომბერი
ესტონეთი-სომხეთი;
ჩრ.მაკედონია-საქართველო;

**13 ნოემბერი**
საქართველო-სომხეთი;
ჩრ.მაკედონია-ესტონეთი;

**16 ნოემბერი**
სომხეთი-ჩრ.მაკედონია;
საქართველო-ესტონეთი.

# ბორჯღალოსნები პორტუგალიას პარიზში შეხვდებიან



7 მარტს საქართველოს ნაკრები რაგბი ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიას დაუპირისპირდება. ბორჯღალოსნები საფრანგეთში 2 მარტიდან შეიკრიბნენ და წლის მეოთხე მატჩისთვის ემზადებიან.

რატომ საფრანგეთში? მასპინძელთა თხოვნით, შეხვედრა პარიზში, ხელოვნურსაფარიან არენა „სტად ჟან ბუენზე" გაიმართება. საქმე ის არის, რომ პარიზსა და მის შემოგარენში, პორტუგალიელთა დიდი სათვისტომო ცხოვრობს და ვარაუდობენ, რომ ისინი 20.000-იან სტადიონს სანახევროდ მაინც შეავსებენ.

არადა, პორტუგალიაში რაგბს დიდი ხანია თამაშობენ – ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს, ნაკრებმა კი პირველი შეხვედრა 1935 წელს გამართა და მეზობელ ესპანეთთან ლისაბონში 5:6 დამარცხდა.

პორტუგალიის ნაკრები ერთადერთია, ვინც რაგბი ევროპის ჩემპიონატისა და მისი წინამორბედი ერთა თასის ისტორიაში საქართველოსა და რუმინეთის დავაში ჩაერია და 2003-04 წლების სეზონში ტურნირის გამარჯვებული გახდა.

2007 წელს პორტუგალიის ნაკრები პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად გავიდა მსოფლიო თასზე. მანამდე, ევროპის ფლეი ოფში, პორტუგალია 2 მატჩის ჯამში საქართველოსთან დამარცხდა (17:3 თბილისში, 11:11 ლისაბონში). პორტუგალია რეპეშაჟში გადაერთო და მაინც მოიპოვა საფრანგეთის საგზური.

იმ მსოფლიო თასზე პორტუგალიამ არსებობის ისტორიაში სარეკორდო სხვაობით მარცხი ახალი ზელანდიისგან იწვნია – 13:108. თავად პორტუგალიამ სარეკორდო გამარჯვება 2019 წელს ჩეხეთთან დააფიქსირა – 93:0.

პორტუგალიის ნაკრები 2016 წელს რაგბი ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობა და ზედიზედ 3 წელი „ალაფის" გამარჯვებული ხდებოდა, თუმცა შარშანდლამდე გადათამაშებებს აგებდა. 2019 წლის 15 ივნისს მან გერმანიას 37:32 მოუგო და რაგბი ევროპის ჩემპიონატზე დაბრუნდა.

ბორჯღალოსნებისა და „ლობოშის" (პორტუგალიის ნაკრების მეტსახელი) გზები პირველად 1997 წელს, ფირას თასზე გადაიკვეთა და ლისაბონში მასპინძლებმა 21:17 მოიგეს.

2000 წლიდან ორივე გუნდი ერთა თასზე ჩაერთო და 2017 წლამდე ერთმანეთთან რეგულარულად თამაშობდა. პირველი 3 მატჩი (ორჯერ სტუმრად და ერთხელ თბილისში) „ბორჯღალოსნების" გამარჯვებით დასრულდა. მომდევნო 3 შეხვედრა უკვე პორტუგალიამ მოიგო, მაგრამ 2005 წლის შემდეგ, „ლობუშთან" თამაში აღარ წაგვიგია.

2006 (სტუმრად 11:11) და 2009 (თბილისში 20:20) წლებში მეტოქეს ორჯერ დავუზავდით, მას შემდეგ კი ზედიზედ 7 მოგება გვაქვს. სულ ამ გუნდებს შორის გამართული 20 მატჩიდან, 14 ბორჯღალოსნების გამარჯვებით დასრულდა, ორჯერ ფრე დაფიქსირდა, ოთხ შემთხვევაში კი მეტოქემ იმარჯვა.

მეტოქეს ყველაზე დიდი სხვაობით 2006 წელს „ეროვნულზე" მოვუგეთ – 40:0. სტუმრად სარეკორდო, 26 ქულის სხვაობით მეტოქეს 2016 წელს ლისაბონში ვაჯობეთ – 29:3.

რაგბი ევროპის ჩემპიონატზე დაბრუნებული პორტუგალიის ნაკრები კარგ თამაშს აჩვენებს და შეეძლო სამივე თამაში მოეგო, მაგრამ კალინინგრადში რუსეთთან გამართულ შეხვედრებში იოლი დარტყმები ვერ გაიტანა და 18:19 დამარცხდა. მანამდე „ლობუშს" პირველ ტურში ბელგია 23:17, ხოლო მეორეში რუმინეთი 22:11 ყავდა დამარცხებული.

3 ტურის შემდეგ, პორტუგალიას 9 ქულა აქვს, მეორე ადგილზეა და 5-ით ჩამორჩება ლიდერ საქართველოს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ვიზიარებთ და თანავუგრძნობთ ღრმა მწუხარებაში დედას – ლუიზა ჩხეტიას, შვილს შალვას, დას ხათუნა ზაქარაიას ჰუმანური, ინტელიგენტი, გულისხმიერი პიროვნების

**თემურ ზაქარაიას**

გარდაცვალების გამო.

*კუსუნა და გოჩა მზარელუები*

თანავუგრძნობთ მწუხარებაში ბიძას ზურა ჩხეტიას, ბიცოლას ლალი ჟვანიას, ბიძაშვილებს ნინო და ნანა ჩხეტიებს, ბიძაშვილის შვილს იოანეს საყვარელი პიროვნების

**თემურ ზაქარაიას**

გარდაცვალების გამო.

*კუსუნა და გოჩა მზარელუები*

## ალექსანდრე (ჯაზი) დუმბაძის გახსენება



ყველასათვის მძიმე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ არის ერთგული მეგობარი, უსაყვარლესი შვილი, შესანიშნავი სპორტსმენი და, რაც მთავარია, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. იგი 33 წლის იყო; მიუხედავად ცხოვრების ხანმოკლე პერიოდისა, მან იმდენი სიკეთე და სითბო დატოვა, ალბათ მრავალ ასაკოვან ადამიანსაც კი გაუკვირდებოდა. იგი შვეიცარიაში ლტოლვილთა ბანაკში ტრაგიკულად დაიღუპა.

ალეკომ წარმატებით დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტი, შემდგომ ასევე წარმატებით მუშაობდა საქართველოს რკინიგზაში. სამწუხაროდ, დედის მძიმე ავადმყოფობის გარშემო შექმნილი გარემოების გამო მკურნალობისათვის საჭირო სახსრები მოძიებული იქნა საბანკო კრედიტით, რომლის გადახდასაც ოჯახი ვეღარ ახერხებდა. მან საზღვარგარეთ წასვლა და იქიდან ოჯახის დახმარება გადაწყვიტა. ჩვენი მთავრობის გაუმართლებელმა მოწოდებებმა, საქართველოდან წასულებისათვის თავშესაფარი არ მიეცათ, ალეკოზე საბედისწეროდ იმოქმედა. და განა ვინ მოთვლის, ის მერამდენეა, ვინც სიცოცხლე საზღვარგარეთ დაასრულა. ოჯახმა დაკარგა დედისერთა შვილი, ქვეყანამ კი ენერგიით სავსე და პატრიოტი ახალგაზრდა, რომელსაც მრავალი სასიკეთო საქმის კეთება შეეძლო თავისი ქვეყნისთვის,

*მეგობრები*

## ჟუჟუნა იმედაშვილის ხსოვნას



დასრულდა ამქვეყნიური ტკივილი და ტანჯვა, ჩვენო დედიკო, ახლა ჩვენ გვტკივა უშენობა – შენს შვილებსა და შვილიშვილებს.

პირველად გაგვითენდა დედის დღე უდედოდ. ამის მერე დედის დღეს შენი საყვარელი ოქროყანის ენძელებით სასაფლაოზე მოგილოცავთ ხოლმე.

დღეს 40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო დედიკო, ყველას ძალიან გვენატრები. შენი სითბო და სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება ყველას. ერთადერთ ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ სიკვდილი არ არსებობს – შენ გარდაიცვალე მარადიულ სამყაროში.

უფალი შეეწიოს შენს სულსა და ნათელ ხსოვნას და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს იმ მარადიულ სოფელში, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

*მონატრებით, შენი შვილები – ციური, ნელი და სოსო*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 3. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 4. ჩილეს ნაკრებისა და „ბარსელონას" ფეხბურთელი; 7. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 12. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმლის ზედა ჯირკვალი; 14. მასწავლებელი, დამრიგებელი იაპონიაში; 15. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 20. ავადმყოფური გამონაზარდი ხის ღეროზე, კორძი.

**თარაზულად:** 5. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 6. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 8. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 10. მოკლელულიანი შაშხანა; 11. აეროპორტი კაიროში; 13. ხეივნიანი ფართო ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 16. ფუტკრის სკის შავი ფისი; 18. წვრილი ხმა, მრავალხმიან სიმღერაში; 19. პოპულარული ტანსაცმელი; 21. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 22. უბანი თბილისში; 23. მარტის თვის ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 2. ორაკული; 3. აპატრიდი; 4. ობივატელი; 5. ბანკი; 6. ერზაცი; 8. არიოზო; 11. გუდრუნი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტი; 19. ოსტერია; 21. ლიოვი; 22. იმედი.

**თარაზულად**: 1. ბოტაფოგი; 5. ბატე; 7. ფრახტი; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფიჯი; 18. ბონზა; 20. სკალპელი; 22. იბიცა; 23. რეესტრი; 24. ცაგერი; 25. ვისკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ვიქტორია; 2. ყინჩი; 3. პრიშტინა; 4. ტიფანი; 7. ინარი; 9. ილორი; 12. ალმადოვარი; 14. კულუხი; 15. ქვაწვია; 17. კიკერსი; 20. თეთრა.

**თარაზულად**: 5. მისისიპი; 6. მერდინი; 8. მიჩმანი; 10. აფროდიტა; 11. ტიროლი; 13. სტაფილო; 16. სინეკურა; 18. დიოდი; 19. ცაიში; 21. ფეიხოა; 22. შიფონერი; 23. მიუსერა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7860 | ევრო — 3.1064 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5652 | 100 რუსული რუბლი — 4.1660 |

## ამინდის პროგნოზი 5 მარტისთვის







## 3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

# ტრფობა წამებული

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## „ნიჭიერის" გამარჯვებული თემო არაბიძე სამსახურს ეძებს



სახალხო შოუს „ნიჭიერის" გამარჯვებული თემო არაბიძე სამსახურს ეძებს და დასაქმებას საზოგადოებას სთხოვს:

– გამარჯობა პატივცემულებო, არ ვიცი, უნდა დავწერო თუ არა?! ბევრს ჰგონია, ძალიან ბევრი ფული მაქვს, არ ვიცი რატომ.

მოკლედ, სასწრაფოდ მჭირდება სამსახური იმისთვის, რომ ჩემი 27 კვადრატი ბინა არ დავკარგო, რადგან მომავალი თვიდან ველარ შევძლებ გადახდას.

დიახ, ბევრი ვიბრძოლე, ვიომე, გავიმარჯვე, მაგრამ ბევრჯერაც დავმარცხდი, მაგრამ კიდევ წამოვდექი, მაგრამ ახლა პირდაპირი გაგებით, უფსკრულთან ვდგავარ და ეს იმ უფსკრულს არ ჰგავს, საიდანაც გადავვარდი და ამოვედი.

უბრალოდ, სამსახური მჭირდება, რომლითაც გამოვიხსნი ჩემს 27 კვადრატ ბინას.

## გიო ხუციშვილის ქუჩის გახსნა გადაიდო




4 მარტს თბილისში საბურთალოზე მომღერალ გიო ხუციშვილის სახელობის ქუჩა უნდა გახსნილიყო, თუმცა დაგეგმილი ღონისძიება გადაიდო. მიზეზი ქვეყანაში კორონა ვირუსთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა გახდა.

მომღერლის ქუჩა ვასო გოძიაშვილის სახელობის სკვერის, ე.წ. წითელი ბაღის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქუჩაა.

მაია ჯორჯაძე, გიო ხუციშვილის მეუღლე:

– არსებული მდგომარეობის გამო, გიოს ქუჩის გახსნა გადაიდო.

## წიგნის სახლში მურმან ლებანიძის საღამო გაიმართება



5 მარტს ბახტრიონზე მდებარე წიგნის სახლში ქართველი პოეტის მურმან ლებანიძის საღამო გაიმართება.

– ხელახლა წაიკითხება, ხელახლა – სუყველაფერი! – ასე ჰქვია ღონისძიებას, რომელზეც პოეტის თხზულებათა ექვსტომეულისა და ქართული პოეზიის შედევრების სამტომეულის წარდგენაა დაგეგმილი.

მურმან ლებანიძისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 5 მარტისთვის

**ვერძი** – ეს დღე შესაფერისია ფიზიკური დატვირთვისა და სუფთა ჰაერზე სეირნობისათვის. მერკურის მფარველობის მეოხებით ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კურო** – განიწმინდეთ სულიერად და ხორციელად. მიუტევეთ. გელით საინტერესო და ხელსაყრელი შემოთავაზება. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ბევრი რამ იცვლება. ნებისმიერი კომერციული ოპერაციის განხორციელებამდე კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** – კვლავ დაძაბული ხართ. საკუთარი პოზიციების მტკიცედ დაცვა აუცილებელია. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლა გეკრძალებათ. ეს დღე ოჯახს მიუძღვენით. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ქალწული** – საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დროა. ნებისმიერი რისკი გაუმართლებელია. **სასწორი** – გრძელვადიანი გეგმების კორექტირება მოგიწევთ. იოლად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეზე ან შემოთავაზებაზე, შესაძლოა, უარი თქვათ. გეგმები გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნებისმიერ სიტუაციაში ნებისყოფა და თავშეკავება გმართებთ. **თხის რქა** – დაკისრებული მოვალეობები ძალიან დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. სასიყვარულო პაემანი იმედს გაგიცრუებთ. **მერწყული** – ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ცვლილებებია მოსალოდნელი. საკუთარი გეგმების რეალიზებაში ხელს არაფერი გიშლით. **თევზები** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. თქვენი ენთუზიაზმი ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. ოცნება გისრულდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– როდესაც ბებიაჩემი 65 წლის იყო, ექიმებმა მას დღეში ხუთი კილომეტრის ფეხით გავლა ურჩიეს...

– მერე?

– ახლა ის 89 წლისაა და აზრზე არ ვართ, სად იმყოფება...

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, რა აქვს დედას ფეხებს შორის?

– სამოთხე შვილო.

– მამიკო და შენ რა გაქვს ფეხებს შორის?

– სამოთხის კარის გასაღები, შვილო.

– მაშინ საკეტი შეცვალე, თორემ ჩვენ მეზობელ გივის, როგორც ჩანს, დუბლიკატი აქვს...

•••

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, დედამ შენი დღიურის შემოწმება მთხოვა.

– კი მაგრამ, მამიკო, შენ ხომ სუსტი გული გაქვს.

– აი ასეა, შვილო, შენ გარდა ჩემზე არავინ ზრუნავს.

•••

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– აბა ბავშვებო, რას გვაძლევს ქათამი? აბა, ლიზი, შენ მიპასუხე.

– ქათამი გვაძლევს ხორცს და კვერცხს.

– სწორია. აბა რას გვაძლევს ცხვარი? თენგო, შენ მიპასუხე.

– ცხვარი გვაძლევს ხორცს და მატყლს.

– სწორია. და რას გვაძლევს ძროხა? აბა, გიგი, შენ მიპასუხე.

– ძროხა გვაძლევს საშინაო დავალებებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იურგენ კლოპი: „ამ კრიზისს დავძლევთ"



ლივერპულმა ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო. ამჯერად ის ჩელსისთან დამარცხდა სტუმრად 0:2 და ინგლისის თასს გამოეთიშა.

მიუხედავად ამისა, ლივერპულის მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი კრიზისს დაძლევს და ისევ მოგებებს დაიწყებს:

– რაც ხდება, სასიამოვნო არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე მატჩია და განსაკუთრებული არაფერი დაგვიკარგავს. იმედი მაქვს, მალე დავიბრუნებთ ჩვეულ ფორმას, რადგან წინ მნიშვნელოვანი მატჩები გველის. აუცილებელია, რომ სეზონი ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანოთ.

## ჰარი კეინმა შესაძლოა ზაფხულში ტოტენჰემი დატოვოს



ტოტენჰემის ლიდერმა ჰარი კეინმა შესაძლოა ზაფხულში გუნდი დატოვოს, რადგან მას ახალი გამოწვევები სურს კარიერაში.

კეინს ამჟამად ტრავმა აქვს და ის მხოლოდ ზაფხულში შეძლებს მოედანზე გამოსვლას, მანამდე კი ტოტენჰემის ფორვარდი რეაბილიტაციას გადის.

კეინის შეძენა ბევრ გუნდს სურს, თუმცა მისი სატრანსფერო ფასი 170 მილიონს შეადგენს და ეს თანხა შესაძლოა დაბრკოლებად იქცეს.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კეინს ტოტენჰემის მწვრთნელთან ჟოზე მოურინიოსთან მცირე კონფლიქტი აქვს.

## ბარსელონა ნეიმარში 180 მილიონს იხდის



ბარსელონა ზაფხულში ისევ აპირებს ნეიმარის ტრანსფერს დაუბრუნდეს და კატალონიელებისთვის ნეიმარის შეძენა მთავარი პრიორიტეტი იქნება.

ბარსელონა მზად არის, ნეიმარის ტრანსფერში 180 მილიონი გადაიხადოს, თუმცა პსჟ უფრო მეტს ითხოვს, რადგან თავის დროზე ნეიმარი მას 222 მილიონი დაუჯდა.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი 2017 წელს პსჟ-ში სწორედ ბარსელონადან გადავიდა და კატალონიელებს მისი დაბრუნება სურთ.

## იუვენტუსი–მილანის შეხვედრა გადაიდო




იუვენტუსის და მილანის ნახევარფინალური შეხვედრა იტალიის თასზე 4 მარტს უნდა გამართულიყო, მაგრამ კორონავირუსის გამო შეხვედრა გადაიდო.

ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება ეს მატჩი.

ზოგადად კორონავირუსის გამო იტალიაში ბევრი მატჩი გადაიდო და სეზონი ჩაშლის პირას არის.

რამდენიმე დღეში იტალიის საფეხბურთო ფედერაცია, სავარაუდოდ, სპეციალურ განცხადებას გააკეთებს ამ თემასთან დაკავშირებით და ბევრი რამ ცნობილი გახდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გიორგი კეკელიძე: „უსამართლო საქმეა, რომ ბებიების დღე არ არსებობს"



მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე გულნატკენია, რომ საქართველოში ბებიის დღე არ არსებობს:

– სრულიად უსამართლო საქმეა, რომ ბებიების დღე არ არსებობს. დასვენება არ გვინდა.

ბებია და დასვენება ერთმანეთს ძნელად ეგუება – ყვავილების ნაცვლად კი სიმბოლოდ ჩურჩხელები გამოდგება თავისუფლად.

## მაია ბარათაშვილს ვარსკვლავი გაუხსნეს




მომღერალ მაია ბარათაშვილს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს.

ვარსკვლავის გახსნამდე ჩატარდა მომღერლის 50 წლის და სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეებისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ბიგ ბენდმა, მისმა სოლისტებმა და მიწვეულმა სტუმრებმა.

მაია ბარათაშვილმა კონცერტზე მისულ საზოგადოებას წარუდგინა თავისი შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები და მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით კიდევ ერთხელ მონუსხა მსმენელი.

კონცერტის დასრულების შემდეგ კი კულტურის პალატის პრეზიდენტმა დათო ოქიტაშვილმა იუბილარი მომღერალი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მიიპატიჟა, სადაც მაია ბარათაშვილის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. მაგნიტის ძველებური სახელწოდება; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 6. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 8. ნავთობისა რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 11. ირლანდიის დედაქალაქი; 14. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 15. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. დროებით სხვასთან შეკედლებული პირი; 19. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 21. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 22. მინერალური წყალი სამეგრელოში.

**თარაზულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 7. ისტორიული ციხე-სიმაგრე ახალციხეში; 9. მაისის თვის ქართული სახელწოდება; 10. უღელტეხილი აჭარაში; 12. კურკოვანი ხილი; 13. უძველესი ქართული სამეფო; 16. ვალის გადახდის უნარმოკლებული, გაკოტრებული პირი; 17. ხეობა სტეფანწმინდას რაიონში; 18. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 20. სათამაშო სახლი, კაზინო; 22. ჟოკეის წკეპლა; 23. გრეიფრუტის ქართული სახელწოდება; 24. საჭადრაკო ამოცანა; 25. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

